საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს საზღვაო ნავსადგურები და ტერმინალები

2025 წელი

04.03.2026
www.geostat.ge

04.03.2026

საზღვაო ნავსადგურებისა და ტერმინალების ძირითადი მაჩვენებლები (2025 წელი)

2025 წელს საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში შემოვიდა 1 789[1] გემი, რომელთა 50.9 პროცენტი იყო გენერალური (ზოგადი სახის) ტვირთის გადამზიდი, 23.6 პროცენტი — თხევადი ტვირთმზიდი, 15.5 პროცენტი — კონტეინერმზიდი, ხოლო დანაჩენი 10.0 პროცენტი ნაყარ ტვირთმზიდზე, ბუქსირებზე და სპეციალიზებულ გემებზე განაწილდა.

2025 წელს წინა წელთან შედარებით, საქართველოს ნავსადგურებმა და ტერმინალებმა 40.4 პროცენტით მეტი გენერალური (ზოგადი სახის) ტვირთმზიდი გემი მიიღო, 38.8 პროცენტით მეტი — სპეციალიზებული, 2.5 პროცენტით მეტი — ნაყარი ტვირთმზიდი, 26.7 პროცენტით ნაკლები — კონტეინერმზიდი და 16.6 პროცენტით ნაკლები — თხევადი ტვირთმზიდი.

საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში შემოსული გემების რაოდენობა ტიპების მიხედვით,
(ერთეული)



[1]წყარო: სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო

04.03.2026

2025 წელს საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში შემოსული გემების 17.6 პროცენტი პანამის დროშის ქვეშ დაცურავდა, 15.3 პროცენტი — თურქეთის, 9.9 პროცენტი — მალტის, 8.3 პროცენტი — ლიბერიის, დანარჩენი 48.9 პროცენტი კი სხვა ქვეყნებზე განაწილდა.

საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში შემოსული გემების რაოდენობა რეგისტრაციის ქვეყნების (დროშა) მიხედვით,
(ერთეული)



04.03.2026

2025 წელს საქართველოს ნავსადგურები 12.8 ათას მგზავრს მოემსახურა, რაც 62.0 პროცენტით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე. ამასთან, მგზავრთა ნაკადში გასული მგზავრების წილი აღემატებოდა შემოსული მგზავრების წილს და 52.0 პროცენტს შეადგენდა.

მგზავრთა ნაკადი საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში,
(ათასი კაცი)



04.03.2026

2025 წელს საქართველოს ნავსადგურებმა და ტერმინალებმა 16 637.6 ათასი ტონა ტვირთი გადაამუშავა, რაც 6.8 პროცენტით მეტია 2024 წლის მაჩვენებელზე. გადამუშავებული ტვირთის 47.7 პროცენტი გენერალური (ზოგადი სახის) ტვირთი იყო, 31.0 პროცენტი — თხევადი ტვირთი, ხოლო 21.3 პროცენტი — ნაყარი ტვირთი.

საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში გადამუშავებული ტვირთის მოცულობა სახეების მიხედვით,
(ათასი ტონა)



საკონტაქტო პირები:

დავითი ჟორჟოლიანი, ტელ: (+995 32) 236 72 10 (601), E-mail: dzhorzholiani@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: (+995 32) 236 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge